პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, местκома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 27 (88) | გამოცემის მესამე წელი | შაბათი, 18 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## მაღალ დონეზე ჩავატაროთ კომკავშირული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა უკვე დაამტკიცა ჯგუფებში, კურსებზე და ფაკულტეტებზე კომკავშირული საანგარიშო-საარჩევნო კრებების გეგმა. რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საანგარიშო კრებები აკადემიურ ჯგუფებში. ზოგიერთ ფაკულტეტზე დაიწყო საკურსო კომკავშირული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებიც. 15 ოქტომბერს შედგება უნივერსიტეტის ალკკ ორგანიზაციის XIV კონფერენცია, რომელიც მოისმენს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ანგარიშს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

უნივერსიტეტის კომკავშირულმა აქტივმა, ყოველმა კომკავშირელმა მთელი სერიოზულობით უნდა შეაფასოს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა საანგარიშო პერიოდში, გააკეთოს სათანადო დასკვნები და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ტრიბუნები გამოიყენოს იმ ნაკლოვანებათა სამხილებლად, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კომკავშირის მუშაობაში; უნდა მოიფიქრონ აგრეთვე კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

გასულ სასწავლო წელს გარკვეულ წარმატებებთან ერთად ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას თავის მუშაობაში ჰქონდა ჩამორჩენილი უბნებიც. ჩვენ ვალდებული ვართ სერიოზულად დავფიქრდეთ და სათანადო დასკვნები გავაკეთოთ, მაგალითად შემდეგი ფაქტებიდან: გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრის საგამოცდო სესიების შედეგად აკადემიური დავალიანება დარჩა 570 კომკავშირელს. ეს მარტო იმით როდი აიხსნება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში გამოცდებზე მეტი მომთხოვნელობაა წაყენებული სტუდენტის მიმართ, არამედ იმითაც, რომ ზოგიერთი სტუდენტი ჯერ კიდევ არასერიოზულად ეკიდება გამოცდებისათვის მზადებას, ბოლო კომკავშირული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ასეთებს.

კომკავშირულმა ორგანიზაციამ მომავალში ძირეულად უნდა გარდაქმნას მუშაობა ამ ნაკლის გამოსასწორებლად და სტუდენტთა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის ბრძოლა აიყვანოს ახალი მოთხოვნების სიმაღლეზე.

კომკავშირელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე დისციპლინის მხრივ. ხშირია საზოგადოებრივი და კომკავშირული წესრიგის დარღვევის ფაქტები. კომკავშირული ორგანიზაციების ნაკლები მომთხოვნელობის შედეგად კომკავშირელთა ერთ ნაწილში შესუსტდა პასუხისმგებლობის გრძნობა. ყველას კარგად უნდა ვახსოვდეს, რომ იმ არასასურველი შემთხვევების აღმოფხვრა, რომლებსაც არც თუ ისე იშვიათად ავლენს ზოგიერთი კომკავშირელი, შეუძლებელია უდისციპლინოთა წინააღმდეგ პირდაპირი და ორგანიზებული ბრძოლის გარეშე. სინამდვილეში კი იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ცალკეული კომკავშირული ორგანიზაციები დათმობაზე მიდიან ასეთი სტუდენტების მიმართ, ან კიდევ წაყრუების პოლიტიკას ატარებენ და ამით კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებენ საქმეს.

სასტიკად ვამხილოთ ასეთი უპასუხისმგებლო, მოუწესრიგებელი კომკავშირლები, დავანახოთ მათ თავიანთი მანკიერი მხარეები, აი ამოცანა, რომელიც უნდა განახორციელონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა.

კრებების მაღალ იდეურ დონეზე ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული მის მომზადებაზე, განსაკუთრებით კი საანგარიშო მოხსენების საქმიანად და კრიტიკულად აგებაზე.

არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ჩვენი მომავალი მუშაობის შედეგები ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობის გრძნობით მოვეკიდებით მომავალი კომკავშირული აქტივის შერჩევას. პასუხსაგებ კომკავშირულ თანამდებობებზე უნდა ავირჩიოთ აკადემიურად ძლიერი, კომკავშირული მუშაობით დაინტერესებული, ენერგიული ამხანაგები, რომლებიც კარგად ერკვევიან საქმეში და შეძლებენ გაიყოლიონ კომკავშირული მასა.

კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ინსტრუქციის ზუსტად დაცვით ჩაატარონ ყოველი კრება. არის შემთხვევები, როცა ჯგუფორგმა ან კურსბიუროს მდივანმა არ იცის როგორ წარმართოს საანგარიშო-საარჩევნო კრება. ამ საქმეში მათ სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ საფაკულტეტო ბიუროებმა და ალკკ კომიტეტიდან ფაკულტეტებზე მიმაგრებულმა აქტივისტებმა.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩავატაროთ საანგარიშო - საარჩევნო კრებები,—ასეთია ახლა ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა.

## გამოვიდა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა სახელმძღვანელო „პოლიტიკური ეკონომია". სახელმძღვანელო დაწერილია ეკონომისტების კოლექტივის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ აკადემიკოსი კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ა. ლეონტიევი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის სახელობის საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი ი. დ. ლაპტევი, პროფესორი ი. ი. კუზმინოვი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი ლ. მ. გატოვსკი, აკადემიკოსი პ. ი. იუდინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ი. პაშკოვი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ი. პერესლეგინი. სახელმძღვანელოში შესული სტატისტიკური მასალების შეკრებასა და დამუშავებაში მონაწილეობა მიიღო ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ნ. სტაროვსკიმ.

სახელმძღვანელო შედგება სამი განყოფილებისაგან: პირველი — „წარმოების კაპიტალიზმამდელი წესები", მეორე — „წარმოების კაპიტალისტური წესი", მესამე — „წარმოების სოციალისტური წესი".

სახელმძღვანელო გამოდის მასიური ტირაჟით. (საქდესი).

## ჩვენს უნივერსიტეტში

### გამსვლელი სამეცნიერო ექსპედიცია კოლმეურნეობაში

ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ. ისინი უფრო და უფრო მჭიდრო კავშირს ამყარებენ სოფლის მეურნეობის მუშაკებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან, კოლმეურნეობებთან. აწყობენ მათთან სამეცნიერო გამსვლელ სესიებს, კითხულობენ პოპულარულ მოხსენებებს სოფლის მეურნეობისა და საბუნებისმეტყველო საკითხებზე.

ამ დღეებში ბიოლოგიის ფაკულტეტმა მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია გლდანის კოლმეურნეობაში. სესიას ხელმძღვანელობდნენ ფაკულტეტის დეკანი დოც. ლ. კუტუბიძე და ფაკულტეტის პროფკომის თავმჯდომარე დოც. ე. მირიანაშვილი.

საკოლმეურნეო კლუბის დარბაზი კოლმეურნეებით იყო გაჭედილი. მათ დიდი ინტერესით მოისმინეს პროფ. ლ. კობახიძისა და დოც. ა. ჯანაშვილის მოხსენებანი: „ხორბლეული კულტურების მავნე ენტომოფაუნა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი", „სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო და მავნე ფრინველები".

აღნიშნული მოხსენებებით დაინტერესებულმა კოლმეურნეებმა ბევრი შეკითხვა მისცეს მომხსენებლებს, რაზედაც მათგან ამომწურავი პასუხი მიიღეს.

მოხსენებათა შემდეგ ფაკულტეტმა კოლმეურნეებს უჩვენა მეცნიერულ-პოპულარული საბუნებისმეტყველო ხასიათის კინო-ფილმები.

### იზრდება ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის, სტუდენტთა ბიბლიოთეკისა და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი 1 200 000 ტომზე მეტია. წიგნების რაოდენობის მიხედვით ჩვენი ბიბლიოთეკა მეორეა მთელ რესპუბლიკაში კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შემდეგ.

მაგრამ არა მარტო წიგნების სიმრავლით გამოირჩევა ჩვენი ბიბლიოთეკა, იგი შესანიშნავია იმითაც, რომ უნივერსიტეტის წიგნთსაცავში ინახება მრავალი ისეთი ძვირფასი და იშვიათი გამოცემა, რომელიც მხოლოდ ჩვენს ბიბლიოთეკას გააჩნია და რესპუბლიკის სხვა ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება.

გასულ სასწავლო წელს სამეცნიერო, სტუდენტთა და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები შეივსო ახალი წიგნებით. ამ პერიოდში 38 416 ცალი წიგნი და ჟურნალი მოემატა ისედაც მდიდარ წიგნად ფონდებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკის დაკომპლექტების სექტორმა ძირითადად უზრუნველყო სტუდენტობა და მეცნიერ-მუშაკები საჭირო ლიტერატურით. ისინი ბიბლიოთეკის კატალოგებში იპოვნიან მათთვის საჭირო თითქმის ყველა წიგნსა და გამოცემას.

მრავალ ახალ წიგნს შეიძენს ბიბლიოთეკა მიმდინარე სასწავლო წელსაც.

**ს. სერებრიაკოვი,**
ბიბლიოთეკის დაკომპლექტების სექტორის გამგე.

### საენათმეცნიერო ექსპედიცია სვანეთში

მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში მოეწყო ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ და ქართველურ ენათა განყოფილებების სტუდენტთა და ასპირანტთა დიალექტოლოგიური ექსპედიცია ზემო სვანეთში.

ექსპედიცია სამ რაზმად დაიყო; ერთი ჯგუფი ასპირანტ ლ. მარგველანის ხელმძღვანელობით მუშაობდა სოფ. უშგულსა და კალაში ამ სოფლების სვანური მეტყველების თავისებურებათა შესწავლის მიზნით. ის ჯგუფი, რომელსაც კავკასიურ ენათა განყოფილების V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, სტალინის სახელობის სტიპენდიანტი ალ. ჭინჭარაული ხელმძღვანელობდა, სწავლობდა ბეჩო-ცხუმარის სვანურ მეტყველებას. ძირითადი ჯგუფი ასპირანტების ც. კალაძისა და ნ. აბესაძის ხელმძღვანელობით იკვლევდა მესტიის, მულახისა და ლენჯერის სვანურს. ამავე სოფლების სვანურ მეტყველებაზე მუშაობდნენ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ჭუმბურიძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტი ნ. კოტინოვა.

ექსპედიციის მონაწილეებმა დიდძალი და საინტერესო მასალა დააგროვეს.

უნივერსიტეტის სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის უახლოეს სხდომებზე მოსმენილი იქნება სვანეთის დიალექტოლოგიური ექსპედიციის მონაწილეთა ანგარიშები.

**გ. კაჭარავა**

### შაბათობა სტადიონის მშენებლობაზე

14 სექტემბერს, ლექციების შემდეგ, უნივერსიტეტის ეზოში რამდენიმე ათეულ სტუდენტს თავი მოეყარა. ირგვლივ ჟრიამული, კისკისი და წამქეზებელი შეძახილები ისმოდა: „აბა, ვნახოთ, ვნახოთ, ვინ იქნება გამარჯვებული!".

ესენი იყვნენ კომკავშირელი გოგონები და ვაჟები, რომელნიც სიხარულით გამოეხმაურნენ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებას — მოეწყობილიყო შაბათობა თბილისის „ნაუკას" სტადიონის მშენებლობაზე.

...აი, მხიარული და ჯანმრთელი ახალგაზრდები შეუდგნენ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. აქ არიან ეკონომიკის, ფილოლოგიის, ისტორიის, მექანიკა-მათემატიკისა და სხვა ფაკულტეტების კომკავშირელი გოგონები და ვაჟები.

მალე ისინი ორგანიზებულად გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილზე. თითოეულ ფაკულტეტს გამოეყო თავისი სამუშაო უბანი.

გაჩაღდა მხიარული და მუყაითი მუშაობა.

სარწყავი სისტემის გაყვანაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფილოლოგიის, ისტორიის, იურიდიული და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტები.

გაწმენდილი იქნა წყალსადენის თხრილი, შესრულებული იქნა სხვა დამხმარე სამუშაოები. მუშაობაში არა ნაკლებ ენერგიული აღმოჩნდნენ გოგონები. ისინი ვაჟებს ეხმარებოდნენ მოედნის ზედაპირის გასწორებაში.

მუშაობაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს სტუდენტებმა: მ. საკინაშვილმა, ს. კედელაშვილმა, გ. ახალაძემ (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი); ისტორიის ფაკულტეტიდან გ. პყოიძემ, რ. გურგენიძემ, ეკონომიკის და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ჩიკვილაძემ, აჯიაშვილმა, ა. სანებლიძემ, ვ. გოგოლაშვილმა და სხვებმა.

საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ ვაკის პარკის თავზე გაისმა სტუდენტთა მხიარული სიმღერა. სტუდენტები შინისაკენ ბრუნდებოდნენ.

**ჰ. ბურგენიძე**

პარასკევს, 24 სექტემბერს, დღის 3 საათზე სააქტო დარბაზში შედგება უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება:

**დღის წესრიგი:**

1. საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის V პლენუმის დადგენილება და უნივერსიტეტის ამოცანები (მომხს. ამხ. ს. ჯორბენაძე).

**სტალინის სახელობის თ. ს. უ. პარტიული კომიტეტი**

### შეჯიბრება კალათბურთში

დაიწყო შეჯიბრება უნივერსიტეტის პირველობაზე კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ გეოგრაფია-გეოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის, იურიდიული, ფიზიკის, ეკონომიკის, ბიოლოგიისა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტების ვაჟთა გუნდები და გეოგრაფია-გეოლოგიის, ფილოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ქიმიის, ეკონომიკისა და ფიზიკის ფაკულტეტების ქალთა გუნდები.

შეჯიბრება გაიხსნა 17 სექტემბერს, უნივერსიტეტის კალათბურთის მოედანზე. მონაწილეთა აღლუმისა და უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ვ. კუპრაძის შესავალი სიტყვის შემდეგ დაიწყო ასპარეზობა.

პირველი თამაშების შედეგები ასეთია: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მოუგო ისტორიის ფაკულტეტის კალათბურთელებს ანგარიშით 57:46; ფილოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელმა ვაჟებმა დამარცხება განიცადეს იურიდიული ფაკულტეტის კალათბურთელებისაგან ანგარიშით 61:84; ფიზიკის ფაკულტეტის კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრა ეკონომიური ფაკულტეტის კალათბურთელებთან დამთავრდა პირველთა გამარჯვებით—66:29; ბიოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელმა ვაჟებმა მოიგეს თამაში მექანიკა-მათემატიკის კალათბურთელებთან ანგარიშით 31:22.

ქალთა გუნდების შეხვედრების შედეგები ასეთია: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელებმა დაამარცხეს ფილოლოგები (45:31) და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კალათბურთელები (37:12); ფილოლოგიის ფაკულტეტის კალათბურთელმა ქალებმა მოიგეს თამაში ქიმიის ფაკულტეტის კალათბურთელებთან ანგარიშით 71:51.

შეჯიბრება გრძელდება.

### უნივერსიტეტის ალპიურ კლუბში

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებას ატარებს, რომელთა მიზანია ჩვენი სპორტსმენების ოსტატობის შემდგომი ამაღლება. ამ უკანასკნელ ხანს კათედრამ განიზრახა ჩვენი სპორტსმენებისათვის მოეწყო სპორტული ფილმების დემონსტრაცია. გამონახული იქნა შესაფერი ადგილი — უნივერსიტეტის ალპიური კლუბი, კათედრამ მოუმზადა სათანადო ორგანიზაციასაც და 17 სექტემბრიდან, ყოველ პარასკეობით, საღამოს 8 საათზე უნივერსიტეტის ალპიურ კლუბში ნაჩვენები იქნება სპორტული ფილმები.

17 სექტემბერს ჩვენი სპორტსმენებისათვის დემონსტრირებულ იქნა კინოჟურნალ „საბჭოთა სპორტის" ახალი ნომრები და მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მხედართა ბილიკი"; 24 სექტემბერს კი ნაჩვენები იქნება ფილმები „კალათბურთის ოსტატები", „მშვიდობისა და მეგობრობისათვის" და „საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა კავშირისა და ავსტრიას შორის"; 1 ოქტომბერს — „ფეხბურთის ოსტატები", „განთავისუფლებული ჩინეთი" და სხვ.

სპორტული ფილმების ჩვენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სპორტსმენებისათვის. ისინი ამის საშუალებითაც გაეცნობიან საბჭოთა სპორტის საუკეთესო სპორტსმენების თამაშს, დაუკვირდებიან მათ ტექნიკას და სპორტულ სტილს. ეს უსათუოდ შეუწყობს ხელს ჩვენი სპორტსმენების შემდგომ დაოსტატებას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ფრიად სასარგებლო და მისასალმებელია.

**კ. მამალაძე**

# საწარმოო პრაქტიკაზე მუზეუმებში

ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე ლიტერატურის ისტორიის, ძველი ქართული ენისა და სხვა მონათესავე საგნების შესწავლისას ხშირად საჭირო ხდება მუზეუმებში დაცული ხელნაწერების გაცნობა და შესწავლა. ხელნაწერების შესწავლა ხელს გვიწყობს ამა თუ იმ საგნის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებაში, გვაძლევს ხელნაწერებზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს. მრავალი საინტერესო ხელნაწერია დაცული ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მუზეუმებში. ამ ხელნაწერების გაცნობისა და შესწავლის მიზნით მიმდინარე წელს, ზაფხულის არდადეგების პერიოდში საწარმოო პრაქტიკაზე გავემგზავრეთ დასავლეთ საქართველოში.

ჩვენი საწარმოო პრაქტიკის მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო მარშრუტი 5 ივლისს დაიწყო. 6 ივლისს ჩვენ უკვე საჩხერეში ვიყავით. ყველა ჩვენგანს ერთი სურვილი ჰქონდა—რაც შეიძლება მალე მივსულიყავით სხვიტორში, სადაც დაიბადა და თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა დიდმა ქართველმა მწერალმა აკაკი წერეთელმა. მალე სხვიტორიც გამოჩნდა და ჩვენს წინ გადაიშალა ბუნების დიდებული სურათები. სოფლის შუაგულში მწვანით შემოსილ სერზე აღმართულია ლამაზი ორსართულიანი შენობა. ამ სახლში, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი მგოსანი, ახლა სახლ-მუზეუმია გახსნილი. რამდენიმე დღის განმავლობაში ვეცნობოდით აკაკის სახლ-მუზეუმში დაცულ ხელნაწერებს. პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების შესწავლამ ბევრი საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა მოგვცა. გავეცანით აგრეთვე აკაკი წერეთლის ძმის—დავით წერეთლის პირად არქივს, რომელშიაც პოეტის რამდენიმე ლექსის ავტოგრაფია დაცული.

სხვიტორიდან ქუთაისისკენ გავწიეთ. ინტერესით დავათვალიერეთ საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის ღირსშესანიშნაობანი. შემდეგ მუზეუმებს ვეწვიეთ და მათში დაცულ ხელნაწერებს გავეცანით. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერები. ჩვენი ინტერესი ამ ხელნაწერებისადმი იმანაც განაპირობა, რომ მათში მოხსენებული ძველი კულტურის ცენტრები და მონასტრები ქუთაისთან ახლოს მდებარეობენ და ჩვენ მათი დათვალიერების შესაძლებლობა გვეძლეოდა. თითქმის ორი დღის განმავლობაში ვეცნობოდით ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, გელათის მონასტერს, მოწამეთის მონასტერსა და მასში დაცულ ექსპონატებს. ვეწვიეთ გელათის მონასტრის მახლობლად მდებარე პიონერთა ბანაკს. იქ ჩვენმა სტუდენტებმა პიონერებს ჩაუტარეს კონცერტი, ესაუბრნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ქუთაისში ყოფნის დროს მოვაწყეთ ექსკურსია წყალტუბოში, დავათვალიერეთ მშრომელთა ჯანმრთელობის ეს დიდებული კერა, სადაც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მრავალი ათასი მშრომელი ისვენებს.

მონასტრების დასათვალიერებლად მოგზაურობისას ჩვენი სტუდენტები დიდი ინტერესით სწავლობდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებას, ინიშნავდნენ იმერული დიალექტის თავისებურებებს.

ქუთაისიდან ზუგდიდს გავემართეთ. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იქ დაცული ექსპონატების მიხედვით, უმდიდრესია საქართველოში. აქ მუშაობისას გავეცანით მუზეუმში დაცული ხელნაწერი ფონდების აღწერილობას. ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მუზეუმში არსებულმა მუდმივმა გამოფენამ. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები საკმაო წარმოდგენას უქმნიან მნახველს იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ წინათ, ერთი მხრით, მსხვილი ფეოდალები, მეორე მხრით, მშრომელი გლეხობა, თუ როგორ შეიცვალა ხალხის ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აქ ჩვენ დავათვალიერეთ დადიანისეული ბაღიც, რომელიც ამჟამად ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკს წარმოადგენს.

ზუგდიდიდან სოხუმს გავემგზავრეთ. სოხუმი ჩვენი რესპუბლიკის ერთერთი ულამაზესი ქალაქია. მისი გამწვანებული ქუჩები, შესანიშნავი ბაღები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები ერთხელ კიდევ ცხადად მიგვითითებენ იმ დიდ მზრუნველობაზე, რომელსაც პარტია და მთავრობა იჩენს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. სოხუმში გატარებულმა დღეებმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ვიყავით სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ბოტანიკურ ბაღში და მასთან არსებულ კვლევით ინსტიტუტში. დავათვალიერეთ სოხუმის დრამატიული თეატრის შენობა, რომელიც ქართული არქიტექტურული სტილის ბრწყინვალე ნიმუშია.

მოვაწყვეთ აგრეთვე ექსკურსია რიცაზე.

დილის 7 საათზე სოხუმიდან გასულმა მანქანამ გეზი რიცისაკენ აიღო. შესანიშნავია ეს გზა. განსაკუთრებით ლამაზია იგი, როდესაც ბზიფის ხეობაში შევა. ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ ამართულან თვალუწვდენი კლდეები, ხეობას შმაგი ღმუილით მიაპობს ბობოქარი მდინარე.. აი, რიცაც! ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი კურორტი. სამშობლო ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიან მშრომელები ამ შესანიშნავი ადგილის დასათვალიერებლად. იგი ყველას ატყვევებს თავისი მომაჯადოებელი სილამაზით.

18 ივლისს სოხუმიდან ბათუმს გავემგზავრეთ. ბათუმში დავათვალიერეთ ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის ამსახველი ისტორიული ადგილები, რევოლუციის მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი და სხვა. 24 ივლისს სტუდენტები ბათუმიდან თბილისს გამოემგზავრნენ.

პრაქტიკამ ხელი შეუწყო სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას და განმტკიცებას, მისცა მათ ჩვევა ხელნაწერებზე და სხვა სამუზეუმო ექსპონატებზე დამოუკიდებელი მუშაობისა.

**გ. დვალიშვილი,**
**ქ. საპანაძე.**



# რატომ არ იწყებს მუშაობას ახალგაზრდა მწერალთა წრე?

ჩვენს უნივერსიტეტში 1947 წლიდან მუშაობს ახალგაზრდა მწერალთა წრე. პირველ ხანებში წრის მუშაობა იმით განისაზღვრებოდა, რომ ყოველკვირეულად ახალგაზრდა ავტორები იკრიბებოდნენ, კითხულობდნენ თავიანთ ახალ ნაწარმოებებს, მსჯელობდნენ მათ შესახებ, ეხმარებოდნენ ერთმანეთს მხატვრული ოსტატობის შემდგომი ამაღლებისა და დახვეწის საქმეში. ამგვარი მუშაობა ფრიად ნაყოფიერი გამოდგა, რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა ახალგაზრდა ავტორთა მხატვრული პროდუქცია ცალკე კრებულადაც გამოსულიყო. ასე ჩაისახა ალმანახი „პირველი ხმები", რომელმაც პირველი ნომრებიდანვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ფართო წრეების ყურადღება.

მას შემდეგ ყოველწლიურად გამოდიოდა ალმანახის მორიგი ნომრები—მეორე, მესამე. წრეში მუშაობა კვლავინდებურად მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ეწყობოდა საინტერესო ექსკურსიები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა მწერალთა თემატიკის გაფართოებისათვის. ალმანახის წიგნებიც უფრო საინტერესო და ხარისხოვანი ხდებოდა. წრეში მრავალი ნიჭიერი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი და მთარგმნელი აღიზარდა. წრის გამგეობა სისტემატურად აწყობდა ლიტერატურულ საღამოებსაც.

მაგრამ გასულ წელს წრის მუშაობაში უკვე შეიმჩნეოდა ერთგვარი მოდუნება. ყოველკვირეულად არ ეწყობოდა წრის წევრთა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვა. თუ წინათ წრის სხდომებს, წევრებს გარდა, მრავალი დაინტერესებული სტუდენტიც ესწრებოდა და კამათიც ცხოველი, საქმიანი და მწვავე იყო, გასულ წელს წრის წევრთა უმრავლესობაც კი აღარ ესწრებოდა სხდომებს და პაექრობაც დუნედ მიმდინარეობდა. წრის მუშაობაში გაქრა უწინდებური ხალისი და მონდომება. არ მოწყობილა არცერთი ექსკურსია და ლიტერატურული საღამო.

ამ დღეებში, თუმც დაგვიანებით, გამოვიდა ალმანახ „პირველი ხმების" მეოთხე წიგნი. ეს წიგნი მთელი წლინახევრის განმავლობაში მზადდებოდა დასაბეჭდად. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ იგი გაცილებით მაღლა დგას ამავე ალმანახის წინა წლებში გამოსულ ნომრებთან შედარებით. იგი მოწმობს, რომ წრე იმდენად მომწიფებული და წელმომაგრებულია, რომ ქართული მწერლობის ახალი კადრების ნამდვილ სამჭედლოს წარმოადგენს. ეს ახალგაზრდა შემოქმედთა და „პირველი ხმების" სარედაქციო კოლეგიის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს.

ბუნებრივად უნდა გვევარაუდებია, რომ ასეთი კარგი წიგნის გამოსვლა ახალ ენერგიას შემატებდა მის ავტორებსა და ინიციატორებს. მოსალოდნელი იყო, რომ წრე გაორკეცებული ენერგიით დაიწყებდა მუშაობას ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. არც იმისი ნიშნები ჩანს, რომ წრის გამგეობას გადაწყვეტილი ჰქონდეს მუშაობის დაწყება უახლოეს ხანში. უნივერსიტეტში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოვიდა, საჭიროა მათთან მუშაობა, საჭიროა მათი ნაწარმოებების კითხვა-განხილვა, ახალი ნაწარმოებები აქვთ დაწერილი წრის ძველ წევრებსაც. „პირველი ხმების" სარედაქციო კოლეგიას განზრახული აქვს მომავალი, მეხუთე ნომერი ალმანახისა რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოსცეს, ყოველ შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევრის დასასრულისათვის მაინც. თუ წრემ მუშაობა არ განაახლა, თუ მასალები დროზე არ იქნა განხილული და შეკრებილი, ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩება.

წრის გამგეობა ახლავე უნდა ჩაუფიქრდეს ამ საკითხს. რექტორატის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური, საქმიანი დახმარებით წრემ ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა.

**ქ. ქილარჯიანი**

# ამთავითვე გავაჩაღოთ პოლიტიკური აგიტაცია

**ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში,** მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ აგიტაციას, როგორც პარტიის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის სისტემის ორგანულ შემადგენელ ნაწილს.

სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული აღმავლობის მიზნით პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანები, მათი განხორციელებისაკენ მიმართული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ ფართო პოლიტიკური აგიტაციის გაშლას მასებში. აქედან გამომდინარე, პარტია და მთავრობა უდიდეს მოვალეობას აკისრებენ უმაღლეს სასწავლებლებს მეცნიერების საფუძვლებს ღრმად დაუფლებული, კომუნიზმის აქტიური მშენებელი კადრების მომზადების საქმეში. ამ მიმართულებით სერიოზულ მუშაობას ატარებს ჩვენი უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი. იგი ყოველწლიურად ასეულობით აწვდის სამშობლოს ყოველმხრივ განათლებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებულ სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს.

უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას მდიდარი გამოცდილება მოეპოვება პოლიტიკური აგიტაციის გაშლის დარგში. საფაკულტეტო პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს აგიტაციის ხარისხი, მისი იდეური დონე, რის შედეგადაც აგიტაცია უფრო ქმედითი გახდა, უფრო დაუახლოვდა უნივერსიტეტის ცხოვრების პრაქტიკას. ამ მხრივ თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარეს ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, მექანიკა-მათემატიკის, ფილოლოგიის და სხვა საფაკულტეტო პარტიულმა ორგანიზაციებმა. გასულ წელს აკადემიურ ჯგუფებში კარგად მუშაობდნენ კომუნისტი აგიტატორები—ამხანაგები: ჰ. ლომთათიძე (ფილოსოფიის ფაკ.), ტ. რუხაძე (ფილოლოგიის ფაკ.), გ. თალაკვაძე (ქიმიის ფაკ.), გ. ნადარეიშვილი (იურიდიული ფაკ.), ნ. ყიასაშვილი (დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტ. ფაკ.) და სხვ.

ამ საქმეში გვქონდა ნაკლოვანებებიც. ზოგჯერ ჯეროვან ყურადღებას ვერ ვაქცევდით აგიტატორებად მომზადებული და სანიმუშო ამხანაგების შერჩევას, აგიტაციის შინაარსს, მის ღრმა იდეურობას. ზოგიერთ აკადემიურ ჯგუფში აგიტაცია ფორმალურ ხასიათს ატარებდა. რიგი პარტიული ორგანიზაცია ამ საკითხს სისტემატურად არ იხილავდა და არ სახავდა სათანადო ღონისძიებებს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელი, ამორალური ხასიათის გამოვლინებანი, ლოთობისა და ხულიგნობის ცალკეული ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩვენი უნივერსიტეტის სინამდვილეში, პირველ რიგში უნდა აიხსნას სუსტი აღმზრდელობითი მუშაობით, ზოგიერთი ამხანაგის მიერ სააგიტაციო მუშაობის შეუფასებლობით.

ამოცანა ისაა, რომ სტუდენტობაში ამთავითვე ფართოდ გავაჩაღოთ პოლიტიკური აგიტაცია, მაღალ დონეზე დავაყენოთ აღმზრდელობითი მუშაობა, აღმოვფხვრათ ამ მიმართულებით გასული სასწავლო წლის მანძილზე არსებული ნაკლოვანებანი.

ჩვენი ვალია ყოველთვის გავითვალისწინოთ ის, რომ კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ აგიტაციას, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, აქვს მასებზე ძლიერი ზემოქმედების ძალა.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი დიდ ყურადღებას აქცევდნენ აგიტაციას, როგორც პარტიის იდეების მასებთან მიტანის ფართო საშუალებას. მუდამ უნდა გვახსოვდეს გენიალური ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ ღრმად მოფიქრებული იდეური შინაარსის გარეშე აგიტაცია გადადის ფრაზიორობაში.

ჩვენი აგიტაცია მოწოდებულია აღზარდოს ინტელიგენცია, სტუდენტობა მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ყოველი აგიტაცია ადვილ-ჩასაწვდომი და დამაინტერესებელი იყოს სტუდენტობისათვის. ამისათვის კი საჭიროა, რომ აგიტაცია იყოს უნივერსიტეტის კონკრეტულ ცხოვრებასთან ღრმად დაკავშირებული, ეხმაურებოდეს საბჭოთა ქვეყანაში და საზღვარგარეთ მომხდარ ამბებს. აგიტატორები მოვალენი არიან სისტემატურად განუმარტონ სტუდენტობას, თანამშრომლებს, მოსახლეობას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, აამაღლონ მათი კომუნისტური შეგნებულობა, აღზარდონ ისინი საბჭოთა პატრიოტიზმის ხალხთა დიადი მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ გიგანტური წინსვლის ამოცანები მოითხოვენ გადამწყვეტ და შეურიგებელ ბრძოლას კაპიტალიზმის გადმონაშთებთან. ჩვენი ვალია დაუნდობლად ვებრძოლოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას, რელიგიურ ნაშთებსა და ცრურწმენას, რომელნიც სულიერად ასახიჩრებენ ადამიანს. შეუძლებელია შევურიგდეთ ისეთ მახინჯ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, როგორიცაა ლოთობა და ხულიგნობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სტუდენტობაში ადგილი არ ჰქონდეს სოციალისტური ცხოვრების წესების დარღვევის შემთხვევას, არავითარ ამორალურ საქციელს.

* * *

საფაკულტეტო პარტიულმა ორგანიზაციებმა სასწავლო წლის დასაწყისიდანვე გარკვეული მუშაობა ჩაატარეს აკადემიური ჯგუფებისათვის აგიტატორების შერჩევისა და დამტკიცების საქმეში. აგიტატორებმა მოაწყეს პირველი საუბრები. მაგრამ ზოგიერთ აკადემიურ ჯგუფში ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი აგიტატორი და არც საუბრები ჩატარებულა (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის მე-2 ჯგუფი, იურიდიული ფაკულტეტის II კურსის მე-2 ჯგუფი და სხვ.).

შეუძლებელია ასეთ მდგომარეობასთან შერიგება.

საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ერთხელ კიდევ გადასინჯონ აგიტატორთა შემადგენლობა, შეავსონ იგი ღირსეული ამხანაგებით.

ჩვენ ახლავე უნდა შევეცადოთ, რომ ამ საქმეში უფრო მეტად ჩავაბათ კომუნისტები, პროფესორ-მასწავლებლები. ამ მხრივ უკვე გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ეკონომიკის, მექანიკა-მათემატიკის და სხვა ფაკულტეტების პარტბიუროებმა. ახალი სასწავლო წლისათვის უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ აგიტსემინარების ჩატარებას, ავამაღლოთ მისი ხარისხი. უნივერსიტეტში მოქმედმა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა სემინარმა (ხელმძღვანელი ამხ. ო. ტატიშვილი), რომელიც მნიშვნელოვან მუშაობას ატარებდა გასულ წელს, კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მუშაობა წელს. ახალი სასწავლო წლისათვის უნდა უზრუნველვყოთ მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების განზოგადება. უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთს „ახალგაზრდა სტალინელს" და კედლის გაზეთებს ამ მხრივ თვალსაჩინო მუშაობის ჩატარება მოუწევთ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა იზრუნონ პოლიტიკურ აგიტაციაში იდეოლოგიური გავლენის ყველა საშუალების — ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, კინოს, სიტყვიერი და თვალსაჩინო აგიტაციის ფართოდ გამოყენებისათვის.

ჩვენი გადაუდებელი მოვალეობაა ავიყვანოთ საავიტაციო მუშაობა უნივერსიტეტის წინაშე დასმული ამოცანების მოთხოვნების სიმაღლეზე.

**გ. გამსახურდია,**
უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

კომკავშირულ საანგარიშო-საგადარჩევნო კრებაზე

# საჭიროა მეტი ქმედითი დახმარება

კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა. დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა ფილოსოფიის ფაკულტეტის IV კურსის კომკავშირული კრება.

მომხსენებელმა ამხ. ზ. ყიფიანმა და მოკამათეებმა: ჯინჭარაძემ, კახიძემ, ყორაშვილმა, გულბანმა და სხვებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ კურსბიუროს თავის მუშაობაში გასულ სასწავლო წელს ერთგვარი წარმატებები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ 49 კომკავშირელიდან 21 ფრიადოსანია და 22—კარგოსანი. საყოფაცხოვრებო სექტორი უნარიანად ხელმძღვანელობდა და სწავლობდა სტუდენტთა ცხოვრების პირობებს. დამაკმაყოფილებლად იმუშავა კურსის კედლის გაზეთმა (რედაქტორი ამხ. შ. კახიძე).

მაგრამ მიღწევებთან ერთად კურსბიუროს გააჩნდა სერიოზული ნაკლოვანებანი. რეგულარულად არ ტარდებოდა კურსბიუროს სხდომები და კომკავშირული კრებები (იყო კრებების ჩაშლის ცალკეული შემთხვევებიც). უგულვებელყოფილი იყო სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემოწმების პრაქტიკა. ნაკლები ყურადღება ექცეოდა სტუდენტთა შორის დისციპლინის განმტკიცებას და მათი კოლექტიური სულისკვეთებით აღზრდას. ამის შედეგად გასულ სასწავლო წელს მარტო ამ კურსის სტუდენტებმა უმიზეზოდ 1600-მდე საათი გააცდინეს. სამწუხარო ისაა, რომ ეს ფაქტები ამჟამადაც გრძელდება. სამი კვირაა, რაც მეცადინეობა განახლდა და კურსზე უკვე 600-ზე მეტი აკადემიური საათია გაცდენილი. კურსის სტუდენტებმა ფაკულტეტთან ერთად სამარცხვინო ადგილი დაიკავეს საუნივერსიტეტო სპარტაკიადაზე (XI ადგილი).

კურსზე ჯერ კიდევ აქვს ადგილი კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთის — ლოთობის გამოვლინების ფაქტებს. კურსს ჰყავს აკადემიურად ჩამორჩენილი კომკავშირლები: პაპიაშვილი, სურგულაძე, ჭოხონელიძე.

ეს ნაკლოვანებანი იმითაც იყო გამოწვეული, რომ კურსბიუროს შესაფერის დახმარებას არ უწევდა ფაკულტეტის ალკკ ბიურო. თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ არ ესწრებოდა არც პარტბიუროს და არც ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი, ბევრს მეტყველებს. სწორედ ამიტომ იყო კრებაზე უწესრიგობა: ჩხუბი, ყვირილი, რეპლიკები, ერთმანეთის ლანძღვა და სხვ. კიდევ მეტი, სტუდენტმა ბიტიაშვილმა პაპიროსიც კი მოსწია კრების მსვლელობის დროს.

კურსბიუროს სერიოზული დახმარება ესაჭიროება.

კრებამ აირჩია კურსბიუროს ახალი შემადგენლობა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

გ. ზილრგაძე

აგიტატორის დასახმარებლად

# რელიგიის რეაქციული არსი

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში მოისპო ექსპლოატატორთა კლასები, მოისპო რელიგიის სოციალური ფესვებიც, მაგრამ რელიგიური იდეები და მათი შესაბამისი დაწესებულება — ეკლესია კვლავ განაგრძობენ არსებობას და ახდენენ გარკვეულ ზეგავლენას ჩამორჩენილ ადამიანებზე, აფერხებენ კომუნიზმის მშენებლობას. ამიტომ სამეცნიერო ათეისტური პროპაგანდის გაშლა წარმოადგენს ჩვენი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის, საბჭოთა ინტელიგენციის ფართო მასების საბრძოლო ამოცანას.

რელიგია წარმოიშვა შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების აღმოცენებამდე. ბევრი ბურჟუაზიული მეცნიერი, რეაქციული თეოლოგების მსგავსად, რელიგიას თვლის არა ისტორიულ, არამედ მარადიულ მოვლენად. მოწინავე ათეისტებიც, გამოსული ბურჟუაზიის წიაღიდან (ჰოლბახი, ჰელვეციუსი, დიდრო, ფეიერბახი და სხვ.) ვერ იძლეოდნენ რელიგიისა და მისი სათავეების მეცნიერულ ახსნას. მხოლოდ მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ გახდა შესაძლებელი გარკვევა რელიგიისა და მის ცრურწმენათა არსში.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რელიგია არის ერთ-ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და იგი განისაზღვრება საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობებით. არა ღმერთმა, არამედ თვით ადამიანმა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეულ პირობებში შექმნა ღმერთი თავის ფანტაზიაში და მისცა მას საკუთარი, ადამიანის მსგავსი სახე. რელიგიურ შეხედულებებსა და წარმოდგენებში ფანტასტიკურად, ზღაპრულადაა ასახული სინამდვილე, ყოველდღიური ცხოვრების ფორმები და სახეები. ძველმა რომაელმა პოეტმა-ფილოსოფოსმა ლუკრეციუსმა ღრმად და მოხდენილად შენიშნა, რომ „შიშმა შექმნა ღმერთები". პირველყოფილი საზოგადოების პირობებში ადამიანი უძლური იყო ბუნების ძალთა წინაშე. ეს უძლურება ბუნების მრისხანე მოვლენათა წინაშე ბადებდა პირველყოფილი ადამიანის შეგნებაში წარმოდგენებს ზებუნებრივ არსებათა შესახებ.

ასე აღმოცენდა პირვანდელი ფორმები რელიგიისა — ანიმიზმი და ტოტემიზმი; ანიმიზმიდან და ტოტემიზმიდან დაწყებული, რელიგიამ განვლო გრძელი და რთული გზა, გაპირობებული საზოგადოების საერთო განვითარებით. საზოგადოებრივ ევოლუციასთან ერთად ღმერთებიც იცვლებოდნენ: გვაროვნული ღმერთები იქცეოდნენ ტომების ღმერთებად, ტომების ღმერთები—ეროვნულ ღმერთებად, ხოლო ეს უკანასკნელნი—ერთიან, „ყოვლისშემძლე" ღმერთებად, ღმერთებად მსოფლიო რელიგიებისა (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი). ყველა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში შიში და უძლურება საზოგადოებრივი განვითარების შეუცნობელი კანონების წინაშე აღვივებდა და ამტკიცებდა რელიგიის ცრურწმენას.

რაც შეეხება ეკლესიას, როგორც რელიგიურ დაწესებულებას, იგი აღმოცენდა კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან ერთად, როგორც ცრურწმენათა გამავრცელებელი და დამცველი ორგანიზაცია, როგორც იარაღი გაბატონებული კლასების ხელში. მსოფლიო რელიგიების განვითარებას ახასიათებს კიდევ ერთი კანონზომიერება: ევოლუცია პოლითეიზმიდან (მრავალღმერთიანობა) მონოთეიზმისაკენ (ერთღმერთიანობა). მას შემდეგ, რაც ტომებისაგან ჩამოყალიბდნენ ხალხები, ცალკეული ტომების ღმერთებს შორის დამყარდა იერარქია, სხვა ღმერთები დაემორჩილნენ ერთს და ბოლოს დარჩა ერთი მთავარი ღმერთი (ქრისტე—ქრისტიანობაში, ალაჰი — ისლამში და სხვ.).

როგორც გვასწავლიან მარქსიზმის კლასიკოსები, ერთღმერთიანობის ჩამოყალიბების პროცესი განაპირობა საზოგადოებრივი ისტორიის პროცესმა: ერთი „ყოვლისშემძლე" ღმერთის კულტი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც წარმოიშვა ერთპიროვნული ხელისუფლება—დესპოტიზმი, მონარქია. როგორც ენგელსი შენიშნავდა, ერთიანი ღმერთი ზეცაში შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ განხორციელებულიყო ერთიანი მეფის ხელისუფლება დედამიწაზე.

• • •

ამჟამად მსოფლიოში არსებობს ბევრი რელიგია, მათგან ყველაზე უფრო ფართო გავრცელება აქვს ბუდიზმს, ისლამს და ქრისტიანობას.

ქრისტიანობის ანალიზი ყველაზე უფრო მკვეთრად გვიჩვენებს რელიგიის ევოლუციას პირველადი „წმიდა" სახიდან გაბატონებულ კლასობრივ რელიგიამდე. იგი რიგრიგობით იცავდა მონათმფლობელობის, ფეოდალების, კაპიტალისტების ინტერესებს. ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი უარყოფენ კლასთა ბრძოლას და რევოლუციას.

შემთხვევით როდი მოხდა ის, რომ სწორედ „მართლმადიდებელი" ეკლესიის მსახური მღვდელი გაპონი გამოიყენეს მეფის რუსეთის გაბატონებულმა კლასებმა იმის იარაღად, რომ სისხლში ჩაეხშოთ პეტროგრადის მუშათა გამოსვლა 1905 წლის იანვარში.

• • •

ყველა რელიგია დაუძინებელი მტერია მეცნიერებისა, პროგრესისა. კათოლიკურმა ეკლესიამ 1600 წელს კოცონზე დაწვა ჯორდანო ბრუნო, აწამა გალილეო გალილეი და სხვები. იმპერიალიზმის ეპოქაში რელიგია და ეკლესია იქცა სახალხო ინტერესების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის ბუდედ. რომის პაპი პიუს XII ლოცვა-კურთხევას აძლევდა მუსოლინისა და ჰიტლერს. ამჟამად ვატიკანი და კათოლიციზმი ერთგულად ემსახურება ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტთა ინტერესებს. რომის კონკლავში გადამწყვეტი ხმა აქვს ამერიკელ კარდინალ სპელმანს, ვატიკანის ჯაშუშურ-დივერსიული საქმიანობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გამოაშკარავდა კარდინალ მინდსენტის პროცესზე უნგრეთში. 1947 წელს ინგლისელი იმპერიალისტების ხროვამ ოსტატურად გამოიყენა რელიგიური შუღლი ინდოელ ბუდისტებსა და მაჰმადიანებს შორის, რასაც საშინელი სისხლისღვრა მოჰყვა.

• • •

საბჭოთა სინამდვილეში რელიგია და ეკლესია წარმოადგენს შავბნელი ფეოდალურ-ბურჟუაზიული წარსულის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მახინჯ გადმონაშთს; მას სასიცოცხლო იმპულსს აძლევს კაპიტალისტური სამყაროს არსებობა. რელიგიურ ცრურწმენათა ტიპიურ გამოვლინებას წარმოადგენს ეკლესიური წესების შესრულება და ზეიმები („შობა", „აღდგომა"), რომელთაც, როგორც წესი, მოსდევს გაბმული ლოთობა, უქნარობა, ჩხუბი, ავარიები ტრანსპორტზე. ეს საზიანოდ მოქმედებს არა მარტო მოქალაქეთა პირად, არამედ საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საბჭოთა კავშირში ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს და სკოლა გამოეყო ეკლესიას. ჩვენი კონსტიტუციის 124-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ენიჭება ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება ისევე, როგორც რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლება.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რელიგია არის კერძო პირთა საქმე, მაგრამ რელიგია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო საქმედ კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის მიმართ. შეუძლებელია სკკპ და საკ. ალკკ წევრად იყოს ადამიანი, რომელიც ასრულებს რელიგიურ წესებს, დადის ეკლესიაში. პარტიის მსოფლმხედველობა — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი—თავიდან ბოლომდე მეცნიერულია, მაშინ როდესაც რელიგიური მსოფლმხედველობა ემყარება ცრურწმენებს და ძირეულად ეწინააღმდეგება მოწინავე მეცნიერებას. თუ რა სამწუხარო შედეგებამდე მივყავართ ანტირელიგიური მუშაობის შესუსტებას, მოწმობს „პრავდის" 15 აგვისტოს ნომერში მოთავსებული წერილი—„სინათლე წყვდიადის წინააღმდეგ".

უნივერსიტეტის კედლებშიაც შესუსტებულია ათეისტური პროპაგანდა. ჩვენთან ჯერ კიდევ არ ეწყობა ანტირელიგიური ლექციები, საუბრები, თეორიული კონფერენციები.

ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არაფერს არ ზოგავენ მშრომელი მასების კულტურული და პოლიტიკურ-მეცნიერული განათლებისათვის. ჩვენ ყოველგვარი საშუალებანი მოგვეპოვება იმისათვის, რომ მოვსპოთ ადამიანთა შეგნებაში არსებული წარსულის გადმონაშთები, აღვზარდოთ ყოველი საბჭოთა ახალგაზრდა როგორც მოწინავე ათეისტი, კომუნიზმის აქტიური, შეგნებული მშენებელი.

ბ. ბახტაძე,

ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნის მოადგილე.

ღია პარტიულ კრებებზე

# ნაკლოვანებანი ამხილეს

17 სექტემბერს შედგა ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება. კრებამ მოისმინა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის დოც. თ. მრევლიშვილის მოხსენება 1953-1954 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა დოც. თ. მრევლიშვილმა ილაპარაკა 1953-54 სასწავლო წლის საზაფხულო გამოცდების შედეგებზე, ახალი სასწავლო წლისათვის ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტის გამოცდების შედეგებზე და, განსაკუთრებით იმ ამოცანებზე, რომელიც ფაკულტეტის წინაშე დგას ახალ სასწავლო წელს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ახალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის სამზადისი ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლის II სემესტრიდანვე გაშალეს. აგვისტოს ბოლოსათვის უკვე შედგენილი და გამოკრული იყო ლექციების ცხრილი. მართალია, ახალი სასწავლო წლის პირველ დღეებში ადგილი ჰქონდა ლექციების ცხრილის დაუზუსტებლობას, რის შედეგადაც გაცდა რამდენიმე ლექცია, მაგრამ ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ლექცია-სემინარებზე სტუდენტების დასწრების საკითხს. მან მოიყვანა ლექცია-სემინარების გაცდენის აღმაშფოთებელი ფაქტები. იყო შემთხვევა, როცა IV კურსზე გერმანული ენის მეცადინეობას მხოლოდ ერთი სტუდენტი დაესწრო, ხოლო კავკასიური ენების განყოფილების ქართული სექტორის V კურსზე 1 სექტემბერს ლექციები სულ არ ჩატარებულა იმის გამო, რომ ლექციებზე არცერთი სტუდენტი არ გამოცხადდა. ხშირია გაცდენები სხვა საგნებშიც.

ცუდადაა საქმე სტუდენტებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოების გამოცემის დარგშიც, — კერძოდ, დღემდე არ გამოცემულა დ. მგელაძის რუსული ენის სახელმძღვანელო და პირველკურსელებს ამ წიგნის გარეშე უხდებათ მეცადინეობა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ზ. ჭუმბურიძემ, გ. მლებრიშვილმა, ვ. ოსტროვსკიამ, შ. რატიანმა, ბ. ბახტაძემ, ნ. გოგოჭურმა და ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ლ. მენაბდემ. მათ ყურადღება გაამახვილეს ფაკულტეტის ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

კრებამ აღნიშნული საკითხის შესახებ დასახა საჭირო ღონისძიებანი.

დ. გველესიანი

# ლექციების გაცდენისა და აკადემიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ

შედგა ისტორიის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, მიძღვნილი გასული წლის შედეგებისა და მომავალი სასწავლო წლის ამოცანების საკითხისადმი. მომხსენებელი, ფაკულტეტის დეკანი დოც. ა. სურგულაძე, დეტალურად შეჩერდა ფაკულტეტის სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე გასული წლის ბოლოს და აღნიშნა, რომ ფაკულტეტის აბსოლუტური მოსწრება გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრში კიდევ უფრო დაბალი იყო (87,2%)ვიდრე პირველ სემესტრში (92,6%).

აკადემიური წარმატების მაჩვენებლების ეს პროცენტული შემცირება, — აღნიშნა მომხსენებელმა, — შედეგია იმისა, რომ გასულ წელს ფაკულტეტზე გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადა სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში არსებულ იმ ლიბერალიზმს, რომელსაც წლების მანძილზე ჰქონდა გადგმული ფესვები. გაიზარდა სტუდენტებისადმი მომთხოვნელობა. ისინი გამომცდელი პროფესორ-მასწავლებლების წინაშე მხოლოდ კონსპექტებით მომზადებული ვერ გამოცხადდებიან. მათ ევალებათ საგანი მოამზადონ ყველა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით. ასეთმა მოთხოვნამ კიდევ უფრო მეცადინი და ბეჯითი გახადა სტუდენტობა. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა დისციპლინის საკითხზე და აღნიშნა, რომ არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა დისციპლინის დარღვევისა. ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები ხშირად ისე ხმაურობენ ლექციაზე, რომ ლექტორი იძულებულია შეწყვიტოს ლექცია. ეს კი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის სისუსტეზე მეტყველებს. მესამეკურსელებს არც მეორეკურსელები ჩამორჩებიან. წესრიგის დარღვევის ფაქტებს ადგილი აქვს I კურსზედაც, სადაც უკვე შეიმჩნევა ლექცია-სემინარების გაცდენები.

კრებაზე აღინიშნა, რომ დამაფიქრებელი მდგომარეობაა შექმნილი II კურსზე, სადაც ძალზე დაბალია სტუდენტთა აკადემიური წარმატება. მარტო ამ კურსზე 8 ოროსანი სტუდენტია, მაშინ როდესაც ფრიადოსანთა რიცხვი 4-მდე ძლივს აღწევს. კურსის პარტიული ჯგუფი და ალკკ ბიურო სუსტად და მოუქნელად მუშაობს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. კრებაზე სიტყვით გამოსულმა II კურსის პარტორგმა ამხ. არჩემაშვილმა, მართალია, მოიყვანა ციფრები, თუ რამდენი სტუდენტია კურსზე ოროსანი, სამოსანი და ა. შ., მაგრამ არაფერი თქვა იმაზე, თუ როგორ მუშაობას ატარებს პარტორგანიზაცია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად..

კრებაზე მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სტუდენტებმა ი. სეფაშვილმა (IV კურსი) და ი. ბარბაქაძემ (III კურსი). ისინი შეეხნენ გასული სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებული სასესიო გამოცდების ზოგიერთ ნაკლოვანებებს.

კრებამ მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

მ. ჯოლია

# საწარმოო თათბირზე

ჩატარდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მოსამსახურეთა საწარმოო თათბირი, რომელმაც მოისმინა ფაკულტეტის დეკანის, დოც. კ. ფაღავას მოხსენება ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. დ. კობიძემ, დოც. ვ. გაბაშვილმა, ლაბორანტმა ბ. სილაგაძემ და სხვ.

საწარმოო თათბირზე აღინიშნა, რომ რეორგანიზაცია, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლისათვის ჩატარდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ახალ ამოცანებს აყენებს ფაკულტეტის კოლექტივის წინაშე. მოკამათეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ჯერ კიდევ არის ზოგი ისეთი გარემოება, რომელიც ხელს უშლის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. ზოგჯერ ლექციები ტარდება შეუფერებელ აუდიტორიებსა თუ კაბინეტებში. დამაკმაყოფილებლად არაა დაყენებული სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე.

ყურადღება იქნა გამახვილებული იმაზე, რომ საჭიროა V კურსის სტუდენტებმა ახლავე დაიწყონ მუშაობა სადიპლომო შრომებზე. აღინიშნა ისიც, რომ თუმცა სასწავლო წელი კარგა ხანია დაიწყო, ჯერ კიდევ არ განახლებულა სამეცნიერო წრეების მუშაობა, რასაც ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება.

საწარმოო თათბირზე მართებულად იქნა დაყენებული საკითხი ფოტოლაბორატორიის მოწყობის აუცილებლობაზე, რაც გაპირობებულია ფაკულტეტის სპეციფიკით.

აღნიშნულის ირგვლივ საწარმოო თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

შ. ალექსიძე

# სიტყვა საქმედ აქციეს

## გუმათჰესის მშენებლობაზე

ქვის სამტვრევი მანქანის მონოტონურ გუგუნს მთების გამოძახილი ეხმაურებოდა.

მექანიკური ამწევების გიგანტური ხელები საშენი მასალის ზვინებს შორის გონიერ ადამიანსავით ხაზავდნენ ჰაერს და მძიმე წონის საშენ მასალებს დანიშნულ ადგილზე აწვდიდნენ. ირგვლივ გაისმოდა თვითდამცლელი მანქანების მოტორების გუგუნი, ელექტროშემდუღებელი აპარატების ძლიერი შიშინი.

ქვის სამტვრევ მანქანასთან რამდენიმე ახალგაზრდა მუშაობდა. ერთი მათგანი მანქანის დაღებულ ხახაში ქვის დიდ ლოდებს ყრიდა, მეორე ნამტვრევი ქვით დატვირთულ ურიკას მიაგორებდა ბეტონმკეთებელი მანქანისაკენ. სხვები დამზადებულ ბეტონს ასხამდნენ ყალიბებში. ამ უბანზე სამშენებლო ბლოკები მზადდებოდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის. ქვის სამტვრევ მანქანას უბნის უფროსი ს. ხუნდაძე მოუახლოვდა, კმაყოფილებით შეავლო თვალი ცემენტით დამტვერილ ახალგაზრდებს, რომლებიც ისე იყვნენ გართულნი მუშაობით, რომ მისი მოახლოვება ვერც კი შეამჩნიეს, შემდეგ უფროსმა სპეცტანსაცმლის სახელოთი სახიდან ოფლი მოიწმინდა და ახალგაზრდებს ომახიანად მიესალმა.

—ყოჩაღ ბიჭებო! კარგად გიმუშავიათ, —შეაქო უფროსმა ახალგაზრდები, როდესაც ბეტონით სავსე ყალიბებს გადახედა, —თქვენისთანა გამრჯე ბიჭები ალბათ არც სწავლაში იქნებიან ჩამორჩენილი. ახალგაზრდებმა უფროსის ამ შექებაზე ღიმილით უპასუხეს და მუშაობა განაგრძეს.

* * *

ეს ახალგაზრდები ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები იყვნენ. როდესაც ჩვენი რესპუბლიკის გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელთა პატრიოტული გადაწყვეტილება რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე გამგზავრების შესახებ, ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები— ზ. გვენძეხაძე, მ. დემურია, გ. მელქაძე, გ. სუჯაშვილი და ბ. ღურწკაია გულმხურვალედ გამოეხმაურნენ სახელოვანი ტრადიციების მქონე ქარხნის კომკავშირელთა ამ პატრიოტულ წამოწყებას და მტკიცედ გადაწყვიტეს ზაფხულის არდადეგების პერიოდში თვითონაც ჩამდგარიყვნენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებელთა რიგებში და თავიანთი წვლილი შეეტანათ რესპუბლიკაში ელექტრო ენერგიის სიუხვის შექმნის საქმეში. უნივერსიტეტის პარტიულმა და კომკავშირულმა კომიტეტებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ პატრიოტულ წამოწყებას და მათი შუამდგომლობით ზაფხულის სესიების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ახალგაზრდა პატრიოტთა ეს ჯგუფი გუმათის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე გაემგზავრა. ასე შეიქმნა სტუდენტ-მშენებელთა პირველი კომკავშირული ჯგუფი.

* * *

როდესაც შესვენების ზარი დარეკეს და მშენებლობაზე მანქანების ხმაური მინელდა, ქვის სამტვრევ მანქანასთან მუშები შეიკრიბნენ. მას შემდეგ, რაც სტუდენტთა ჯგუფი მშენებლობას ეწვია, სამშენებლო ბლოკების დამამზადებელი უბანი, რომელზედაც ენთუზიასტ სტუდენტთა ჯგუფი მუშაობდა, შესვენების დროს მუშების საყვარელ შესაკრებ ადგილად გადაიქცა. თუ სტუდენტები მშენებლებს ემადლიერებოდენ იმისათვის, რომ მათ მათგან შეიძინეს ნაყოფიერი შრომის ჩვევები, არც მშენებლები იყვნენ ახალგაზრდების უკმაყოფილო: მშენებლებს მოსწონდათ ეს მტკიცე ნებისყოფიანი ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობის დაწყების პირველივე დღიდან თავდადებული და ენერგიული შრომით ცდილობდნენ გაემართლებინათ სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის საპატიო სახელი, ნდობა იმ კოლექტივისა, რომელმაც ისინი აქ გამოგზავნა. სტუდენტ-მშენებელთა დახასიათებაში, რომელიც ამას წინათ გუმათჰესის მშენებლობიდან მიიღო ეკონომიკის ფაკულტეტმა, ვკითხულობთ: „უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი გამოირჩეოდა დისციპლინითა და მტკიცე ნებისყოფით, ისინი მაგალითის მიმცემი იყვნენ სხვა მუშებისათვის, იწვევდნენ მათში ინტერესს დღიური გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მთელი მუშაობის პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ გაეცდინათ და ან დაეგვიანებიათ სამუშაო საათებში, რითაც მშენებლების დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურეს". შესვენების დროსა და სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ სტუდენტები მშენებლებს უკითხავდნენ ახალ ჟურნალებსა და გაზეთებს, ესაუბრებოდნენ მათ სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, მათი ინიციატივით მოეწყო მშენებელთა ექსკურსია ტყიბულჰესის მშენებლობაზე, ქობულეთში და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებზე.

მალე გუმათჰესის მშენებლობას საწარმოო პრაქტიკის მიზნით ეწვიენ ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. როდესაც მათ შეიტყვეს თბილისელ სტუდენტ-მშენებელთა ჯგუფის აქ ყოფნის ამბავი, კმაყოფილნი დარჩნენ. სულ მოკლე ხანში დამეგობრდნენ ლენინგრადელი და თბილისელი სტუდენტები. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ერთად, საუბრობდნენ, უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ მისწრაფებებს. ქართველი სტუდენტები ლენინგრადელებს მოუთხრობდნენ რესპუბლიკის კომკავშირელთა პატრიოტული თაოსნობის შესახებ, ესაუბრებოდნენ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების ფართო ქსელის მშენებლობის მნიშვნელობაზე. ბევრი რამ ჰქონდათ საერთო თბილისელ და ლენინგრადელ მეგობრებს. მათ განუწყვეტლივ შეეძლოთ ესაუბრათ რუს, ქართველ, სომეხ, უკრაინელ და სხვა ეროვნების პატრიოტ ახალგაზრდათა იმ არმიაზე, რომელიც პარტიის მოწოდების პასუხად ყამირ მიწებს სტეხს და ნასვენ მიწებს ითვისებს ყაზახეთის, ციმბირის, ჩრდილო-კავკასიის გაშლილ ველებზე. თითოეულ მათგანს მრავალი მაგალითის მოტანა შეეძლო, მრავალი მეგობრის გვარის დასახელება. თბილისელი და ლენინგრადელი მეგობრები თვითონაც ამ პატრიოტ-ახალგაზრდათა არმიის რიგებში გრძნობდნენ თავს. მათაც იგივე მიზანი ამოქმედებდა. აქ, გუმათჰესის მშენებლობაზე, თითოეული მათგანი ცდილობდა უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა პრაქტიკულ მუშაობას, შრომის მეტი ჩვევები აეთვისებია, პრაქტიკული დახმარებით საკუთარი წვლილი შეეტანა საერთო საქმეში.

ლენინგრადელ მეგობრებში დიდი სიხარული გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მათი თბილისელი მეგობრების შრომითი წარმატებები ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელში" იქნა აღნიშნული. ისინი ქართველი მეგობრების სახეებზე კითხულობდნენ იმ სიხარულსა და ბედნიერებას, რომელიც მათ თავდადებული და ენერგიული შრომით დაიმსახურეს.

* * *

თავდადებულ შრომაში დრომ ჩქარა გაირბინა. ზაფხულის არდადეგები დასასრულს უახლოვდებოდა. ზ. გენზეხაძე, მ. დემურია, გ. მელქაძე გ. სუჯაშვილი და ბ. ღურწკაია უნივერსიტეტს უნდა დაბრუნებოდნენ. გუმათჰესის მშენებლები გულთბილად გამოეთხოვნენ ჩვენს სტუდენტებს, წარმატება უსურვეს სწავლაში, ხოლო ეკონომიკის ფაკულტეტის სახელზე გამოგზავნილ სტუდენტ-მშენებელთა დახასიათებაში მადლობის გრძნობით სავსე ასეთი სტრიქონები ჩააქსოვეს:

„მადლობას ვუცხადებთ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანატს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს ასეთი კეთილ-სინდისიერი სტუდენტების ჩვენთან გამოგზავნისათვის".

**ნ. ბეთანიშვილი**

# ახალი ჟურნალი

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდა მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალის „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის" პირველი ნომერი.

საბჭოთა ხალხი ცხოველ ინტერესს იჩენს საერთაშორისო ცხოვრების საკითხებისადმი. ეს ბუნებრივიცაა. კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი, მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მეთაურობს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს მთელს მსოფლიოში. იგი სისხლხორცეულად დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე საერთაშორისო პრობლემების მეცნიერული შესწავლა საბჭოთა მეცნიერების საპატიო მოვალეობას წარმოადგენს.

ჟურნალი „მეჟდუნაროდნაია ჟიზნი" საბჭოთა მკითხველებს გააცნობს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სხვა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხებს, მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობას, საერთაშორისო ეკონომიურ პრობლემებს, უცხოეთის ცალკეული სახელმწიფოების მდგომარეობას, დიპლომატიისა და ქვეყნების ურთიერთობის ისტორიას და მთელ რიგ სხვა აქტუალურ საინტერესო საკითხებს.

## შეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს პროფსაბჭოს თასზე

21 სექტემბერს თბილისში იწყება შეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს პროფსაბჭოს თასზე. გათამაშება ჩატარდება ოლიმპიური სისტემით. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის სხვადასხვა სპორტული საზოგადოებების 15 უძლიერესი გუნდი, მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტის ფეხბურთელთა კოლექტივიც, რომელიც ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ნაუკას" სახელით გამოდის.

21 სექტემბერს ჩვენი ფეხბურთელები ჩაატარებენ პირველ შეჯიბრს. ისინი შეხვდებიან სპორტსაზოგადოება „მედიკის" ფეხბურთელებს (ფიზკულტურის ინსტიტუტი). თამაში შედგება დინამოს სტადიონზე, საღამოს 5 საათზე.

## მათემატიკის ისტორიიდან

### ევარისტ გალუა

ევარისტ გალუას მათემატიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი დაიბადა 1811 წელს პარიზის ახლოს. ადრევე დაინტერესდა მათემატიკით და ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში ლიცეუმში სწავლის დროს დაიწყო თავისი პირველი შრომების გამოქვეყნება. 1829 წელს იგი მიიღეს ნორმალურ სკოლაში (ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელია პარიზში), მაგრამ უკვე 1830 წელს გარიცხეს „უტანელი ქედმაღლობის" გამო. ამის შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება მთავრობის წინააღმდეგ და რამდენიმე თვე ციხეში იჯდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ სასიყვარულო ინტრიგაში გაება, რამაც დუელამდე მიიყვანა; დუელის წინა საღამოს თავის მეგობარ შევალიეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გადმოცემული იყო მისი მეცნიერული მემკვიდრეობა. ამ დუელმა შეწყვიტა მისი ბობოქარი ცხოვრება 21 წლის ასაკში.

გალუას მათემატიკური ნიჭი გაუგონრად ადრე გაიფურჩქნა. სიცოცხლეში მან 5 შრომის გამოქვეყნება მოასწრო. სხვა შრომები ორჯერ წარადგინა პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში, მაგრამ ისეთმა დიდმა მათემატიკოსებმაც კი, როგორიც იყვნენ კოში და ფურიე, ვერ შეაფასეს ამ შრომების უდიდესი მნიშვნელობა, ხოლო ცნობილი მათემატიკოსი პუასონი, რომლის თხოვნითაც გალუამ აღადგინა თავისი ერთ-ერთი შრომა, ვერ გაერკვა მის შინაარსში.

შევალიემ გამოაქვეყნა გალუას სიკვდილის წინა წერილი. ამ წერილში რამდენიმე გვერდზე იყო გადმოცემული შედეგები, რომლებმაც მომავალში უდიდესი როლი ითამაშეს მათემატიკის განვითარებაში და მათ ავტორს უკვდავება მოუპოვეს.

გალუას გადმოცემა მოკლე და მეტად ძნელი გასაგები იყო. ბევრი რამ დაუმტკიცებლად წარმოადგინა თავის წერილში. „დასამტკიცებლად დრო არა მაქვს, მეჩქარებაო"—ლაკონურად ეწერა წერილის არშიებზე. ეს შედეგები პირველად გაარჩია და მკითხველთა ფართო წრეებისათვის გამოაქვეყნა ფრანგმა მათემატიკოსმა ლიუვილიმ 1846 წელს.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო გალუას იდეების ტრიუმფი. გალუას შედეგები გაერთიანდა ერთ მწყობრ თეორიად, რომელმაც „გალუას თეორიის" სახელი მიიღო. მეცნიერებაში მისი ავტორის როლის წარმოსადგენად საკმარისია ითქვას, რომ გალუამ ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე ალგებრას, შემოიღო ისეთი ფუნდამენტალური ცნებები, როგორიცაა ჯგუფი, ქვეჯგუფი, ნორმალური გამყოფი, ველი, მოგვცა პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მოცემული ხარისხის განტოლებანი, რომ ეს განტოლებანი რადიკალებში იხსნებოდნენ და მრავალი სხვა. „გალუას თეორია" ამჟამად მათემატიკის ერთ-ერთ ურთულეს დარგს წარმოადგენს.

საფიქრებელია, რომ გალუა მსოფლიოს აჩუქებდა ბევრ დღემდე უცნობ აღმოჩენას, რომ მისი დაუდგრომელი ტემპერამენტის წყალობით ასე ახალგაზრდა არ დაღუპულიყო.

**თ. ეგანიძე**

# ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები საკოლმეურნეო მინდვრებზე

წელს, ზაფხულის არდადეგების წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ინიციატივის შესახებ; ისინი ვალდებულებას იღებდნენ ზაფხულის არდადეგებზე მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი სოფლების კოლმეურნეობების შრომაში. ჩვენი კურსის აქტივისტებმა ვალდებულება იკისრეს ზაფხულის არდადეგების პერიოდში პრაქტიკული საქმიანობით დახმარებოდნენ მშობლიურ კოლმეურნეობებს.

ზაფხულის სესიების წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტებმა თავიანთ სოფლებს მიაშურეს და სიტყვა საქმედ აქციეს.

ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა მ. ტონიამ ზაფხულის არდადეგები სამტრედიის რაიონის სოფელ ნიგორზღვაში გაატარა. მ. ტონია პირველი დღეებიდანვე ჩაება საკოლმეურნეო მუშაობაში. ის აქტიურად ეხმარებოდა კოლმეურნეებს სიმინდისა და ჩაის კულტურის მოვლაში. ამასთან ერთად, სამუშაოდან თავისუფალ დროს მან ახალგაზრდა კოლმეურნეებს ლექციები წაუკითხა თემებზე, როგორიცაა: „იულიუს ფუჩიკი—მშვიდობისათვის თავდადებული მებრძოლი", „კომკავშირის საბრძოლო გზა" და სხვ.

ამავე კურსის სტუდენტი გ. ბესტაევი ზაფხულის პერიოდში სამხრეთ ოსეთის ალპურ საძოვრებზე იმყოფებოდა. იგი მწყემსებს საუბრებს უტარებდა კომუნისტური პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახებ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. გ. ბესტაევი დიდი ინტერესით ეცნობოდა კოლმეურნე მწყემსების ცხოვრებას. მათ შესახებ ოსეთის საოლქო ჟურნალ „ფიდიოგსა" და გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" საინტერესო ნარკვევებიც გამოაქვეყნა. ზაფხულის არდადეგების პერიოდში თავიანთი სოფლის კოლმეურნეობებს აქტიურად ეხმარებოდნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები — ი. ჩიტაშვილი და კ. ბააზია, II კურსის სტუდენტები—ქ. გოგიჩაიშვილი, ა. შენგელია და სხვები.

არდადეგები დამთავრდა. შინაარსიანად და მიზნიდველად გატარებული ზაფხულის შემდეგ სტუდენტები კვლავ დაუბრუნდნენ მშობლიურ უნივერსიტეტს.

**ხ. არჩემაშვილი,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

## უნივერსიტეტის ახალი გამოცემები

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და უკვე იყიდება შემდეგი წიგნები:

1. **გ. ზარდალიშვილი,** უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა). წიგნის რედაქტორია დოც. ი. ბაჯაძე. წიგნი შეიცავს 42 გვერდს და ღირს 1 მან. და 50 კაპ.
2. **ა. ინწკირველი,** საბუღალტრო აღრიცხვის თეორიის კურსი. წიგნის რედაქტორია ვ. კახეთელიძე. წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 344 გვერდს და ღირს 6 მან. და 85 კაპ.
3. **ბ. ხარაზიშვილი,** კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი). რედაქტორი—გ. შეწირული. წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 238 გვერდს და ღირს 5 მან.
4. **ა. რაკოვსკი,** ფიზიკური ქიმიის შესავალი. წ. II. მთარგმნელები—ე. წულაძე და ქ. ედიგაროვა; რედაქტორები— პროფ. ვ. კოკოჩაშვილი და დოც. შ. მარაშენიძე. წიგნი დიდი ფორმატისაა, ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 386 გვერდს და ღირს 13 მან.
5. საბჭოთა მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის სახელმძღვანელო მასალათა კრებული. კრებული შეადგინა დოც. ნ. ლომსაძემ, რედაქტორი დოც. ე. ნეიძე. წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 417 გვერდს და ღირს 6 მან.

**რედაქტორი ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000 უე 15644.